საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე: ქ. თბილისში, თაბორის მთაზე (საკ. კოდები 01.18.01.002.160 და 01.18.01.001.002) სასტუმროსა და გოლფ კლუბის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „თაბორი რიზორთი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2016 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, თაბორის მთაზე სასტუმროსა და გოლფ კლუბის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, თაბორის მთაზე სასტუმროსა და გოლფ კლუბის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი მ. ყიფშიძე. ვინაიდან გეოლოგების შეხება იყო კლდოვან ქანებთან, ლაბორატორიული სამუშაოები კლდოვანი ქანების თვისებების დასადგენად ჩატარდა საქართველოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე. ..... 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მიწერილობა ..... 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 4 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ..... 2 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 4 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 6 ფურც.

პროექტით როგორც ავღნიშნეთ საკვლევ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს 4-5 სართულიანი წაგრძელებული, მრუდხაზოვანი ფორმის სასტუმრო და გოლფის კლუბი საცურაო აუზითა და კაფე-ბარით. შენობები ძირითადად რკინა-ბეტონის კარკასულ ნაგებობებს წარმოადგენენ. საძირკვლის ტიპი ლენტური და წერტილოვანი იქნება. რაც შეეხება საძირკვლის ჩაღრმავებას, იგი გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე გაყვანილი უნდა ყოფილიყო 20 ჭაბურღილი, თითოეული 6 მეტრ სიღრმით, საერთო სიგრძით 120 მეტრი. გამოუფიტავ ძირითად ქანებში არანაკლებ 1-5 მეტრის შუალედით.

მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მის ჩრდილოეთ დასავლეთ ნაწილში 2016 წლის იანვარში გაბურღილი იქნა 1 ჭაბურღილი, რომლის მასალაც გამოუყენებელია ანგარიშის შედგენისას.

პრაქტიკულად მოედანზე გაყვანილი იქნა 18 ჭაბურღილი და ორი შურფი, რაც გამოიწვია იმან, რომ საბურღი დაზგა, რომელიც ხორციელდებოდა ჭაბურღილების გაყვანა ორ ადგილზე, ვერ ავიდა. ამიტომ ჭაბურღილები შეიცვალა შურფებით. ამრიგად შურფების სიგრძე შეადგენდა თითოეულის 2,5 მეტრს, ხოლო ჭაბურღილებისა - 6 მეტრს. ამრიგად, გაბურღული ჭაბურღილების მოედნის სიგრძე შეადგენს 118 მეტრს. სამთო გამონამუშევრები გაყვანილია დამკვეთის მიერ მინიშნებულ ადგილებში.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნიადაგის ფენა;
2. ფენა 2 - ტუფოგენური ქვიშაქვები, ძლიერ გამოფიტული;
3. ფენა 3 - ტუფოგენური ქვიშაქვები გამოფიტული;
4. ფენა 4 - ტუფოგენური ქვიშაქვები ნაკლებად გამოფიტული.

როგორც ავღნიშნეთ, ძირითადი ქანების თვისებები განსაზღვრული იქნა სამთო საქმის ინსტიტუტში. მათ მიერ განსაზღვრული იქნა ქანების, როგორც სიმტკიცის ისე დეფორმაციის მაჩვენებლები, რაც დაედო კვლევას საფუძვლად, საძირკვლის შერჩევის საკითხს.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დასკვნებში მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები მშენებლობისათვის დადებითად არის შეფასებული. რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც პრობლემებს შეუქმნის სასტუმროს მშენებლობის ან ექსპლოატაციის პერიოდში, არაა მოსალოდნელი.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თაბორის მთაზე (საკ. კოდები 01.18.01.002.160 და 01.18.01.001.002) სასტუმროსა და გოლფ კლუბის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიაზე აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო -გეოლოგიურ ნაწილში.

სტუ-ს გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტმდ, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/